საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. სარევ. პარტია. | წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა" ღირს:
თვიურად 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი უცვლელად 250,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 8.
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ნორმ. წინა[illegible]
4 „ 15 [illegible]
სამგლოვიარო განცხადება
1 [illegible]
4 „ 10. — „

№ 59. სამშაბათი, ოქტომბერი 9 1923 წ. | ყოველდღიური გაზეთი | ფასი 250,000

საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, ჩვენი კავშირის დამაარსებლის და თავ-დადებულ მებრძოლის

**ამხ. ბორის ძნელაძის**

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 11 ოქტომბერს.

## ახალი მთავრობა გერმანიაში

საშინელმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ ცხრა თვის იქით გადაისროლა შტრეზემანის კაბინეტი. მაგრამ მსოფლიო კვლავ სდგას „საკვირველების" წინაშე: ახალი კაბინეტის შედგენა ისევ მიანდვეს იმ კაცს, რომელმაც გზა-კვალი ვერ მოუნახა გერმანიის კრიტიკულ ვითარებას. შტრეზემანი სცდილობს სამინისტრო პორტფელების განაწილებას ბურჟუაზიულ ინტერესების დამცველთა შორის.

რა გზას ადგას გერმანიის სოციალ-დემოკრატია? ჩვეულებრივად ოპორტიუნისტულს, რეფორმისტულს. მენშევიკებს კარგად აქვთ გათვალისწინებული „კომუნისტური საფრთხე". იციან, რომ გერმანიის პროლეტარული რევოლიუცია კაპიტალისტურ ბურჟუაზიასთან ერთად მენშევიკურ პარტიასაც გაანადგურებს. პარტიული კაპიტალის გაძლიერება, პარტიული ჯინიანობა და სიჯიუტე აშკარად გამოსჭვივის გერმანიის სოც.-დემ. ყოველდღე მოქმედებაში. პრეზიდენტ მენშევიკი ებერტი კმაყოფილებით ილებს შტრეიზემანის კაბინეტის გადადგომას და ადასტურებს იგივე შტრეზემანის მიერ ახალ მთავრობის შედგენას.

მენშევიკურ პარტიის „მოღვაწეობაში" თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივითაა გავლებული პარტიის დამახასიათებელი მომენტი: გერმანიის სოციალ-დემოკრატია სცდილობს არ დაარღვიოს მთლიანი ბურჟუაზიული ფრონტი კომუნისტურ მოძრაობის მოსასპობად. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, შტრეზემანმა გაილაშა ლელო: უარყოფილ იქნა დიქტატორული სისტემა სტინესის ტიპისა და შედგა „დიდი" კოალიციონური ბლოკი, კოლეგიალური მუშაობის ნიადაგზე. შტრეზემანის „კაბინეტში" სხედან: სამი სოციალ-დემოკრატი, ოთხი ცენტრიდან, ორი—სახალხო პარტიის წევრი და ორი—დემოკრატი. როგორც ხედავთ, „ახალი" მთავრობა არ ახდენს დიდ ცვლილების შთაბეჭდილებას. იგივე რეფორმიზით გამსჭვალული მენშევიკები, სხვა და სხვა ჯურის ბურჟუაზიული ინტერესების დამცველი მინისტრები გამოდიან თანამედროვე გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრების მესაჭეებად. „მემარცხენე" ჰილფერდინგმა დაჰკარგა ფინანსთა მინისტრის სავარძელი. მთელ გერმანიაში სწარმოებს სასტიკი ბრძოლა კომუნისტების, კომუნისტური და რევოლიუციონური ორგანიზაციების წინააღმდეგ. აშკარაა, გერმანიის ბედი კვლავ ძველის გზით მიექანება დაუსრულებელ განადგურებისაკენ.

გერმანიის ს.-დემოკრატები მჭიდროდ უკავშირდებიან ბურჟუაზიულ ელემენტებს. მათ არ მიაჩნიათ სათაკილოდ კაპიტალის ინტერესების დამცველის როლში გამოსვლა. ეს იმიტომ, რომ საერთაშორისო მენშევიზმი დიდი ხანია გაირეცხა „რევოლიუციონიზმის ჩირქისაგან" და ბურჟუაზიის პატრონობის გავლენის ქვეშ მოექცა. ამას ხედავენ საბჭოთა ფედერაციის მუშები და გლეხები, ამასვე ამჩნევს მთელი ქვეყნის პროლეტარიატი.

კითხვა ისმება: შესძლებს შტრეზემანის კაბინეტი № 2 გერმანიის ბურჟუაზიის დახსნას რევოლიუციის ქარიშხალისაგან? ამ კითხვაზე დადებითი სწორი პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გააუმჯობესებს ახალი მთავრობა გერმანიის სახალხო მეურნეობას, ფინანსებს, გერმანიის პოლიტიკურ მდგომარეობას. მაგრამ ჩვენ უკვე გვაქვს მდიდარი გამოცდილება, განვლილი გზა, და დავინახეთ, რომ ბურჟუაზიული რეფორმების გზით გერმანიის აღდგენა უტოპიაა, ოცნებაა, განუხორციელებელი მიზანია. გერმანიის მშრომელი ხალხი მაშინ განთავისუფლდება იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის მწარე სუსხისაგან, როდესაც გერმანიის მესაჭედ მოგვევლინება თვით მუშათა კლასი, ღარიბი გლეხობა და რევოლიუციონური პროლეტარიატი.

თანამედროვე გერმანიის ხელისუფლება ნაცადი, განვლილი გზით მიემართება გერმანიის მშრომელი ხალხის დამონავებისაკენ. ეს გზა იქ სრულდება, იქ სწყდება, სადაც უნდა დაიწყოს გერმანიის კომუნისტური რევოლიუცია. გერმანიის ბურჟუაზია ბევრს რასმე მოელის შტრეზემან-მენშევიკების შეხმატკბილებისაგან. მაგრამ შეუძლებელია ისტორიულად განწირულ ხალხის ბუნებრივ სიკვდილისაგან გადარჩენა.

ახალი მთავრობა ძველის გზით, ხმარებიდან გამოსულ ხერხებით კვლავ შექმნის მძიმე ატმოსფერას, რომლის გაფანტვას გერმანიის ცხოვრების ჰორიზონტიდან შესძლებს მხოლოდ და მხოლოდ გერმანიის პროლეტარიატი აქტიურ რევოლიუციონურ ბრძოლით, ბურჟუაზიასთან შეტაკებით.

## მშრომელი გლეხობა და რევოლიუცია

### 3. გლეხობა და რელიგია.

ღარიბი გლეხ-კაცობას სარწმუნოების საკითხისადმი დამოკიდებულება დიდი ინტერესის გამომწვეველია. აქ ხათლად და მკაფიოდ გამოსჭვივის მშრომელი გლეხის სოციალი ბუნება. საერთოდ გაბატონებულია პრაქტიკულადაც და თეორეტიულად ის აზრი, რომ სოფლის მასსა წარმოადგენს ცრუმორწმუნეობის ყვავილედს.

საკითხის ისტორიული თვალსაზრისით განხილვა უამრავ მასალებს იძლევა გლეხ-კაცობის რელიგიური წყენით გაღუნთისათვის. საშუალო საუკუნეების მოგონება, ამ დროის მატიანეს გადაფურცვლა „სულიერი მამების" მსოფლიო ჰეგემონიის, კაცობრიობაზე ბატონობისათვის ბრძოლაში გლეხკაცობის როლის გათვალისწინება და მრავალი სხვა ანალოგიური მაგალითები შავ ზეწარს აფარებს თანამედროვე ვითარების სისწორით შემეცნებას. საშუალო საუკუნის გლეხობა საკუთარის ხელით სწვავდა „ერეტიკოსებს", სარწმუნოებისა და ქრისტეს ღვთაებრიობის უარისმყოფელთ. აშკარაა, ისტორიულ წარსულში გლეხ-კაცობა წარმოადგენდა საიმედო იარაღს შავი არისტოკრატიის ხელში. იგი გლეხობა ითვლებოდა მღვდელ-მონაზონ-ბერების საწველ ფურად, შემოსავლის წყაროდ, საექსპლოატაციო ობიექტად.

დედა-მიწის ყველა ნაწილზე გლეხობის რელიგიური განწყობილება ერთნაირი არაა. სარწმუნოებრივი ფანატიზმის ნიადაგი უმეცრობაა, გაუნათლებლობა. ამიტომ ცრუმორწმუნეობას მაგრად და შეურყევლად განსაკუთრებით იმ ხალხებში აქვს ფესვი მოკიდებული, რომელთა წიაღში განათლების, ცოდნის, კულტურის სხივები დღემდე არ შეჭრილა თვალსაჩინოდ. ეს დებულება იმდენად მარტივია და ადვილად გასაგები, რომ იგი არ გულისხმობს ახსნა-განმარტებას, ფაქტებით და სხვა-და სხვა ხალხების ცხოვრებიდან ამოღებულ მაგალითებით დასაბუთებას. კულტურულად და ჩამორჩენილ სახელმწიფოებში რელიგიას გასავალი აქვს არა მარტო გლეხურ მასსაში, არამედ პროლეტარულ უბნებშიაც.

ღვთაებრიობის, უმაღლეს კანონმდებელის იდეას გლეხ-კაცობაში ქმნის უმთავრესად სოფლის ცხოვრების პირობები. გაუნათლებელმა გლეხმა არ იცის ბუნებრივ მოვლენათა, ფიზიკის ელემენტარი კანონები. გლეხი სცოცხლობს ბუნების წიაღში, მაგრამ მან სავსებით არ იცის ბუნების ყოველდღიური მოვლენათა შინაარსი. ეს მაშინ, როდესაც გლეხის წარმოება მთლიანად ბუნების მოწყალებაზეა დამოკიდებული. მიზან შეუწონელი ხშირი წვიმები, გვალვა, სეტყვა,—აი მთავარი ბუნებრივი მოვლენები, რომლებზედ დამოკიდებულია გლეხ-კაცების შრომის ნაყოფი, მომავალი ცხოვრება, საკუთარი მარჯვენის იმედი იმდენად არა აქვს მიწის მუშას, რამდენად ბუნების მოწყალე თვალით გადმოხედვის. თანამედროვე გლეხი მონაა ბუნების, ბუნება განაგებს გლეხკაცის გონებრივ აპარატს. ამრიგად, გლეხი თავის შრომას კი არ ალმერთებს, თაყვანს არ სცემს. მას ირგვლივ არსებულ რეალობას, არამედ რეალობის მიღმა „მყოფ" არსებას, რომელიც უხილველია გლეხისათვის, მაგრამ „მნიშვნელოვანია" გლეხის შრომის ნაყოფიერებისათვის. გლეხკაცს ზეცასთან აქვს საქმე, და არა დედამიწასთან. ამიტომაც განმტკიცდა გლეხობაში მოკრძალების, შიშის და პატივისცემის გრძნობა ზეციური ქვეყნის დიპლომატების მღვდლებისა და მათი მოძმეებისადმი.

მოვლენის ამ თვალსაზრისით განხილვა იძლევა პროლეტარიატის ანტირელიგიურ შეგნების აუცილებლობას. ქარხნის მუშას უშუალო კავშირი აქვს საწარმოო იარაღებთან რომლების ტექნიკური გაუმჯობესობა უეჭველად იწვევს შრომის პროდუქტიფიკაციას. პროლეტარი სავსებით საკუთარ ფიზიკურ ენერგიაზე, პირად ძალღონეზეა დამყარებული. რამდენად მტკიცეა ქარხნის მუშაში შრომის შემძლეობა, იმდენად უზრუნველყოფილია მშრომელის მოთხოვნილებაც. ბუნების მოვლენებს არა აქვს გავლენა მუშაობის სისტემატიურად წარმოების პირობებზე. არც შრომის ნაყოფია დამოკიდებული ავდარსა და კარგ დარზე. პროლეტარისათვის ცას ქარხნის ჭერი წარმოადგენს, ქუხილს—მანქანების ქშინვა.

მაგრამ არსებულ ვითარების სისწორით გათვალისწინება ჩვენს წინაშე ახალ მოსაზრებებს აყენებს. **გლეხკაცობა არაა აბსოლიუტურად თეისტი ისევე, როგორც არაა აბსოლუტურად ათეისტი ქალაქის პროლეტარიატი.** ზოგადი ხასიათის არგუმენტები დაადასტურებს ასეთ მოსაზრების ჭეშმარიტ ბუნებრივობას.

(შემდეგი იქნება)

**გ. მუშიშვილი.**

## დღიური

**— შტრეზემანი იძულებულია უარი სთქვას საქმიანი მცირე კაბინეთის შედგენაზედ და მზადაა დაუბრუნდეს ძველ კოალიციას.**

**— რეიხსტაგის ფრაქციების თათბირზედ ეძებენ მოსახერხებელ საბაბს 8 საათის სამუშაო დღის გას უქმებლად**

**— პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახალ კოალიციას მოჰყვება სტინესის დიქტატურა**

**— შტრეზემანის სიტყვა.**

**— საქსონიის სოც.-დემოკრატები კომპარტიას რამდენიმე ადგილს უთმობენ მთავრობაში.**

**— ტიურინგიის მთავრობა ფიქრობს გაჰყვეს მათ მაგალითს.**

**— კომპარტიის ცეკამ დაადგინა შევიდეს საქსონიის და ტიურინგიის მთავრობებში.**

**— საქსონიაში მოითხოვენ მუშათა-გლეხთა მთავრობის გამოცხადებას.**

**— შტრეზემანმა აღადგინა კოალიციონური კაბინეთი, მცირე ცვლილებით.**

**— მოსალოდნელია გერმანიის სახალხო პარტიის დანაწილება.**

## ტელეგრამები

**„ზაკროსტას" ცნობები 8 ოქტომბრიდან.**

**გერმანიის ამბები.**

რეინის სეპარატისტების ლიდერმა მატესმა „ამსტერდამ ტელეგრაფის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ შემოდგომაზედ მოხდება დამოუკიდებელ რეინის რესპუბლიკის გამოცხადება, რომლის შემადგენლობაშიაც შევლენ ბოხუმისა, ელბერფელდისა და მაინცის სამრეწველო რაიონები. მთავრობა შესდგება 10 პირისაგან, ამავე დროს ორ მათგანს მიენიჭება მთელი აღმასრულებელი ძალა-უფლება.

შტრეზემანი იძულებულია უარი სთქვას საქმიანი, დიქტატორულის უფლებებით აღჭურვილ მცირე კაბინეთის შედგენაზედ და იხრება იქითკენ, რომ დასთანხმდეს დემოკრატების წინადადებას—ახალ საფუძვლებზედ ძველი კოალიციის აღდგენას. ამ საკითხის შესახებ სწარმოებს პარტიათა თათბირი.

პარტიათა გარეშე მდგომ პირებისაგან კაბინეთის შედგენის შეუძლებლობამ ცენტრის პარტიებს დაუყენა ორი გამოსავალი: ან რეიხსტაგის დათხოვნა და მემარჯვენეთა დიქტატურა, ან ძველი კოალიციის მობრუნება. ცენტრის პარტიებმა აირჩიეს მეორე.

რეიხსტაგის დემოკრატიულმა ფრაქციამ აღუკრძალა გესლერს მიიღოს თავდაცვის პორტფელი. სოც.-დემოკრატები სიხარულით შეუდგნენ ბურჟუაზიულ პარტიებთა ძველი კოალიციის აღდგენის შესახებ მოლაპარაკებას. ფრაქციათა შორის წარმოებულ თათბირებზედ ეძებენ მოხერხებულ საბაბს 8 საათის სამუშაო დღის გასაუქმებლად, რათა დაფარონ სოც.-დემოკრატიის კაპიტულაცია ბურჟუაზიის წინაშე. „ფორვერტსის" ცნობით, სოც.-დემოკრატიამ მოიწონა შტრეზემანის მიერ წამოყენებული დარმშტადტის ბანკის დირექტორის შახტას კანდიდატურა ფინანსთა და სახალხო მეურნეობის მინისტრის თანამდებობაზედ. სოც.-დემ. თავისთვის თხოულობენ შრომის მინისტრის ადგილს. სახალხო პარტიის ხოზიცია გამოურკვეველია. დემოკრატიული პრესა ირწმუნება, რომ სახალხო პარტია დანაწილების წინაშე სდგას.

მას შემდეგ რაც გამოირკვა, რომ ნაციონალისტები უარყოფითად უყურებენ ახალ კაბინეთს, შტრეზემანი ეძებს კავშირების დახმარებას სტინესის დიქტატურასთან საბრძოლველად. პოლიტიკურ წრეებში ირწმუნებიან, რომ კოალიციონური მთავრობა, თუ იგი შესდგა, იარსებებს მხოლოდ რამდენიმე კვირას და შემდეგ გამოცხადდება სტინესისა და სამხედრო დიქტატურა.

სტინესის მომხრე „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" იცავს დიქტატურას და აღნიშნავს, რომ პარლამენტარიზმის სისტემა მოძველდა: „რუსეთში არ არის პარლამენტი. იტალიისა და ესპანეთში პარლამენტარიზმი დამარცხდა. გერმანიაში პარლამენტარიზმი მოკვდა. მას შესცვლის დიქტატურა".

რეიხსტაგის კომფრაქციამ წინადადება შეიტანა დაითხოვონ რეიხსტაგი და დაინიშნოს ახალი არჩევნები. ბურჟუაზიული და სოც.-დემ. პარტიები წინააღმდეგნი არიან, რადგანაც ეშინიანთ, რომ ახალ რეიხსტაგში უმრავლესობას მოიპოვებენ კომუნისტები.

შაბათს, რეიხსტაგის პირველ სხდომაზედ, ახალი კაბინეთის წარდგენის დროს, შტრეზემანმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა. აღნიშნა რა, რომ პარლამენტარიზმი ყოველ მხრივ შეტევას განიცდის, შტრეზემანმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანიის ინდუსტრიის წარმომადგენლებს წილი უდევს გერმანიის ფინანსიურ ნგრევაში და პარლამენტარი[illegible]კრიზისში, რადგანაც არავითარი მსხვერპლი [illegible] სურთ სახელმწიფოსათვის, და მოუწოდებდა მათ ფაქტიური დახმარების აღმოსაჩენად. შემდეგ მან განაცხადა, რომ რეიხსტაგმა უნდა უარი სთქვას თავის უფლებებზედ და გადასცეს იგი მთავრობას, რისთვისაც საჭიროა რეიხსტაგის 2—3 თანხმობა.

შეეხო რა საგარეო პოლიტიკას, შტრეზემანმა აღნიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ კუნოს მთავრობა შესწყვეტდა პასიურ წინააღმდეგობას. კაბინეთმა მარცხი განიცადა, მის აზრით, იმიტომ რომ, ვერ გამონახა საშუალება წინააღმდეგობის შეწყვეტა გამოეყენებინა პოლიტიკურ მოლაპარაკების დასაწყებად. უარს ჰყოფს რა მემარჯვენეების განცხადებას, ვითომც, მთავრობა ესწრაფვის საფრანგეთის ორიენტაციის მიღებას, აღნიშნავს, რომ საჭიროა შეთანხმება მთელს ანტანტასთან. იგი აცხადებს, რომ მზად არის წარსდგეს უმაღლეს სამჯავროს წინაშე წინააღმდეგობის მოსპობის საკითხში. წინააღმდეგობის შეწყვეტა არ ნიშნავს ოკუპაცია ქმნილ ოლქების განსანთავისუფლებლად ბრძოლის შეწყვეტასაო.

მართვა-გამგეობის ფორმის საკითხი, შტრეზემანის აზრით, ამ ჟამად მეორე ხარისხოვანია და საალყო წესები შედეგია მხოლოდ მოახლოვებულ სამოქალაქო ომის საშიშროებისა. ბავარიის მთავრობამაც ამისთვის დააწესა საალყო წესებიო.

ფინანსიურ და სამეურნეო საკითხებში შტრეზემანს საჭიროდ მიაჩნია ცალკე ოლქებს მიეცეთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა, რისთვისაც კანონი ფინანსთა ცენტრალიზაციის შესახებ უნდა გაუქმდეს. ვალიუტის დაცემასთან საბრძოლველად მას მეურნეობის გაჯანსაღება მიაჩნია.

შტრეზემანმა აღნიშნა, რომ აქ, სადაც წარმოების გაძლიერება არ შეიძლება გატარდეს ნებით, საჭიროა საგანგებო ზომები, რაც დღევანდელ პარლამენტის აპარატის არსებობის გამო შეუძლებელია.

ამ განცხადებამ კომუნისტების მხრით გამოიწვია პროტესტები.

სინდიკატთა ფასების დიქტატურის საწინააღმდეგოდ ლაპარაკის შემდეგ, შტრეზემანმა კვლავ გაიმეორა, რომ რეიხსტაგმა თავისი უფლებები უნდა გადასცეს მთავრობას. კომუნისტების შეკითხვაზედ: „საალყო წესების დროს?.." მან უპასუხა, რომ საალყო წესები არსებობს კომუნისტების მეოხებით.

კომუნისტების ცხარე პროტესტმა შტრეზემანი იძულებული ჰყო სიტყვა შეეწყვიტნა რამდენიმე წამით. შემდეგში მან აღნიშნა, რომ საალყო წესები მიმართულია ყველა სახელმწიფოს საწინააღმდეგო მიმართულებათა წინააღმდეგ.

შტრეზემანის სიტყვა მოწონებულ იქმნა უმრავლესობის მიერ.

კომუნისტების წინადადება გახსნილიყო კამათი უარჰყვეს. კამათი დანიშნულია ორშაბათისათვის.

საქსონიის სოც.-დემოკრატები კომპარტიას უთმობენ მთავრობაში რამდენიმე ადგილს. ტიურინგიის მთავრობას განზრახვა აქვს გაჰყვეს ამ მაგალითს.

საქსონიის მთავრობაში კომუნისტების შესვლის შესახებ მოლაპარაკება გრძელდება. საქსონიის სოციალ-დემოკრატები აყენებენ შემდეგ პროგრამას:

კომუნისტები შედიან საქსონიის მთავრობაში; ამასთანავე სრულიად გერმანიის და საქსონიის კონსტიტუცია უნდა იყოს საფუძველი შეთანხმებული მუშაობისა.

კომუნისტების მთავრობაში შესვლის მიზანია—რესპუბლიკის გამაგრება და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება.

2. ყველა არა ლეგალური და ანტირესპუბლიკანური შეერთებანი აღკრძალულია; იქმნებიან პროლეტარული რაზმები.

პროგრამა შეიცავს აგრეთვე პუნქტებს სახალხო მეურნეობისა და წარმოების შესახებ, რეიხსვერის რესპუბლიკანიზაციის მოთხოვნილებას, განძეულობის კონფისკაციას და 8 საათის სამუშაო დღის დაკანონებას. პროგრამა მოითხოვს აგრეთვე მჭიდრო კავშირს სხვა ოლქების სოციალისტურ მთავრობებთან.

კომპარტიის ცეკამ ამის გამო გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც ადგენს უყოყმანოდ შევიდეს ტიურინგიისა და საქსონიის მთავრობებში ს.-დემ. ერთად.

ამ დღეებში საქსონიაში საბოლოვოდ გადასწყდება მუშათა-გლეხთა მთავრობის დაარსების საკითხი. კომპარტიამ მთავრობაში მონაწილეობის მიღების პირობად წამოაყენა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ მთლიანი ბრძოლის ფრონტის შექმნა. მემარცხენე სოც.-დემ. პრესა, უწევს რა ანგარიშს ხალხს, მოითხოვს მუშათა-გლეხთა მთავრობის შექმნას. ამასვე მოითხოვენ ერთხმად საქსონიის ყველა მუშათა ორგანიზაციები. ახალ მთავრობას მხარი დაუჭირონ პროფკავშირები, ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტები, პროლეტარული ორგანიზაციები და ლანდტაგის უმრავლესობა.

ქალ. ხემნიცის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კრება შეუერთდა მუშათა გლეხთა მთავრობის დაარსების მოთხოვნილებას და საამისოდ ცენტრალურ პროფკავშირების მიერ საერთო გაფიცვის გამოცხადებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ხემნიცის ორგანიზაციები იმოქმედებენ დამოუკიდებლად.

გამოქვეყნდა სრულიად გერმანიის გაერთიანებულ პროფკავშირების მოწოდება 8 საათის სამუშაო დღის მოსპობის საწინააღმდეგოდ.

რეინის საკავშირთაშორისო კომისიას განზრახვა აქვს ოკუპაცია ქმნილ ოლქებში სამხედრო მმართველობა შესცვალოს სამოქალაქო მმართველობით, რასაც სამხედრო მართებლობა, გენერალ დეგუტტის მეთაურობით, წინააღმდეგობას უწევენ.

ესსენის ოლქის მეტ წილ წარმოებებში განახლ-
რაკი გამოირკვა ახალი საქმიანი დიქტატუ-
და მუშაობა.
რულის უფლებებით კაბინეთის შედგენა, შედგენილია დიდი კოალიცია. შტრეზემანმა შეადგინა კაბინეთი, რომელშიაც ისევ ძველი შემადგენლობაა იმ განსხვავებით, რომ ფინანსთა მინისტრი გილფერდინგი (სოც.-დემ.) შეიცვალა ლიუტერით (სახ. პარტია). და სახალხო მეურნეობის მინისტრი რაუმერი (სახ. პარტია) შესცვალენ კიოტმა (ცენტრი), კანცლერად და გარეშე საქმეთა მინისტრად რჩება შტრეზემანი.

ინგლისის მთავრობამ საფრანგეთს წარუდგინა წინადადება დაარსდეს ექსპერტთა კომისია საკონტრიბუციო კომისიასთან გერმანიის ვალების გადახდის უნარიანობის გამოსარკვევად.

გენერალმა დეგუტტმა ინახულა სტინნესი და სხვა მწარმოებელნი რურისა. ითათბირეს მუშაობის აღდგენაზედ. ხმები, ვითომც დეგუტტს მოლაპარაკება ქონდა მუშათა წარმომადგენლებთან სამუშაო დღის 10 საათამდეგე აყვანის შესახებ, არ გამოდგა მართალი.

გერმანიის სახალხო პარტიაში სამუშაო დღის რაოდენობის საკითხში შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ერთი ნაწილი მოითხოვს 8 საათის დღის გაუქმებას, მეორე ნაწილი კი წინააღმდეგია. შესაძლებელია პარტიის დანაწილება.

### ს. ს. რ. კ. ცნობის გარეშემო

**პეკინი.** (ჩინეთი) პეკინის კაბინეტმა დაადასტურა ლინიანის დანიშვნა ჩინეთის წარმომადგენლად რუსეთში.

**ლონდონი.** „ფინანშიელ ტაიმსის“ ცნობით, ინგლისის გემების პატრონნი, რომელთაც ამას წინად გაგზავნეს გემები სამხრეთ რუსეთში, მეტად კმაყოფილნი დარჩნენ, რაკი დარწმუნდნენ, რომ შესაძლებელი ყოფილა რუსეთთან მეგობრული სავაჭრო ურთიერთობა. რუსეთის ნავთსადგურებში ანგარიშს აწარმოებდნენ ჩერვონცებით.

**თეირანი.** ადგილობრივ პრესის ნაწილი, როგორც ეტყობა მოსყიდული, აწარმოებს ს. ს. რ. კ. და მისი წარმომადგენლობის საწინააღმდეგო კამპანიას, ალბად, იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს რუსეთ-სპარსეთის სავაჭრო დაახლოვებას.

**ვარშავა.** (პოლონეთი) შაქრის მექარხნე პრეევალსკიმ და დანციგის საერთაშორისო ბანკის თავმჯდომარემ დაარსეს რუსეთთან ვაჭრობის სააქციონერო საზოგადოება.

**პარიზი.** საერთაშორისო კავშირის წარმომადგენელთა საზოგადო კრებამ დაადასტურა საბჭოთა რკინის გზების ხსენებულ კავშირთან შეერთება.

## უცხოეთი

**ტოკიო.** (იაპონია) 4 ოკტომბერს, ღამით ტოკიოში განმეორდა მიწის ძვრა, მცხოვრებნი შიშისაგან ქუჩებში გამოცვივდნენ. ზარალი დიდია. გოტენბესის მთის მწვერვალი გადმოინგრა და დაანგრია რკინის გზა: ტოკიოსთან კავშირი ისევ შესწყდა.

**კობე.** (იაპონია) სამხედრო წესები გაგრძელებულია მომავალ წლამდე.

**ლონდონი.** ინგლისის პრესა ხაზს უსვამს, რომ საიმპერიო კონფერენცია უნდა შეუდგეს უშიშოვრობის საკითხის გამორკვევას.

„დეილი მეილი“ სწერს, რომ რურისა და სარეპარაციო საკითხები მოიცდიან; ყველაფერი შეიძლება გადაიდოს, გარდა უშიშოვრობის საკითხისა.

**რიგა.** (ლიტვა). შინ. საქმეთა მინისტრმა აღკრძალა მონარქისტულ გაზ. „ნოვაე ვრემიას“ შეტანა და გავრცელება ლიტვაში.

**პარიზი.** ვარშავაში გაიხსნა რადიო სადგური პოლონეთ-ამერიკის შორის პირდაპირი კავშირისათვის.

პირველი რადიო დეპეშა შეერთებულ შტატებიდან ვარშავაში მიიღეს ერთ საათში.

## ახალი ამბავი

— **ქალაქის გამშვენიერების ქვე-განყოფილების გამოყოფა.** ტფილისის აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა გამოყოფილი იქნეს კომისია, რომელსაც დაევალოს სასწრაფოთ გაეცნოს ზემოხსენებულ საკითხს, თუ რამდენათ მიზანშეწონილი იქნება კეთილმოწყობათა ქვე-განყოფილებების უძრავ ქონებათა სამართველოდგან გამოყოფა და მისი უშუალოდ დაექვემდებარება კომუნალურ განყოფილებისადმი.

— **ზრუნვა მეეზოვეების ბინების შესახებ.** ქ. აღმასკომმა დაადგინა: იმ მეეზოვეებს, რომლებიც ემსახურებიან მუნიციპალურ სახლებს და რომლებიც სცხოვრობენ სარდაფებში, დაუყონებლივ მიეცეთ შესაფერი ბინები ხსენებულ სახლებში.

— **ხაზინათ სასამართლოების დაარსება.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას იუსტიციის სახალხო კომისარიატის წინაშე, რათა სასწრაფოთ დაარსებული იქნეს ტფილისში სპეციალური ორი საზინათ სასამართლო.

— **ტფილისის მაზრის ოთხ რაიონად გაყოფა.** სასოფლო-სამეურნეო გადასახადთა მოკრეფის გასაადვილებლათ ქ. აღმასკომმა დაადგინა ტფ. მაზრა გაჰყოს ოთხ რაიონად.

— **ვალიუტის კურსი.**

8 ოქტომბერი.

| | | |
|---|---|---|
| ჩერვონეცი | 58,000,000 | მ. |
| სტერლინგი ეფექ. | 52,500,000 | „ |
| ჩეკი. | 49,900,000 | „ |
| დოლარი ეფექ. | 12,200,000 | „ |
| ჩეკი. | 10,400,000 | „ |
| იტალიური ლირა | 6,800,000 | „ |
| საბჭოთა ფული | 13,000 | „ |

## ცეკავშირი

### მთლიან მომხმარებელი საზოგადოებისათვის საანგარიშო ფორმებისა და დავთრების დამზადება.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—სამომხმარებლო კოოპერაციის თაობაზე—ამა 1923 წ. იანვრის 24-ს თარიღით გამოცემულ დეკრეტის თანახმად ცეკავშირი აწარმოებს საქართველოს რაიონულ და ძირითად მომხმარებელ კოოპერატივთა მთლიან მომხმარებელ საზოგადოებებათ გარდაქმნას.

ამ ახალი რეორგანიზაციით იცვლება კოოპერატიულ ორგანოების ზოგიერთი ფუნქციები, რის გამო საჭირო შეიქნა კოოპერატივთა ძველი საანგარიშო ფორმებისა და დავთრების გადასინჯვა და შესწორება.

აღნიშნული მიზნით მიმდინარე წლის სექტემბრის 27-ს ცეკავშირის მთავარი კანტორაში შესდგა განსაკუთრებული კომისიის სხდომა, რომელმაც დაავალა ამხ. ალექსანდრე კახელაძეს შეიმუშაოს და წარმოუდგინოს მოხსენებულ კომისიას მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა საანგარიშო ფორმებისა და დავთრების სათანადო პროექტი.

### საინფორმაციო საქმის მოწყობა.

ამა წლის ოქტომბრის 3-ს შესდგა ცეკავშირის არა-სავაჭრო ქვეგანყოფილებების გამგეთა სხდომა, რომლის დადგენილებითაც ცეკავშირის სტატისტიკური ქვეგანყოფილებას ევალება კონცენტრაცია უყოს ყოველგვარ ინფორმაციის ცეკავშირის ყველა განყოფილებათა მოქმედების შესახებ და სა-

## წარსული და მომავალი

### ჩვენი წიგნის „დასკვნა.“ პასუხი ამხ. ი. ბ.-ს.

ქართულს ლიტერატურაში 1920 წელს ერთს ძალიან პატარა ამბავს ქონდა ადგილი: დაიბეჭდა და გამოიცა ჩემი წიგნი—„ბოლშევიკების საგზაო პოლიტიკა“. როცა წიგნს ვწერდი, სავსებით ვგრძნობდი, რომ მეგობარს გავაანჩხლებდი, მტერს ღიმილს მოვგვრიდი, მოყვარეს და ნათესავს საბედისწერო აზრებს ალუძრავდი.

ასეც მოხდა. ყველა დაგვესია. პარტიის ამხანაგებმა საწინააღმდეგო რეცენზია დამიწერეს „სახალხოში“, მენშევიკებმა გაბოლშევიკება მოგვილოცა, თვით ბოლშევიკებმა კი ტფილისში ვრცელი რეცენზია ასე დაამთავრეს:—რა მშვენიერი ქალალდი დაუხარჯავს ლიონტს ყალთაბანდური აზრებისთვისო.

ასე იყო ლიტერატურაში. მაგრამ პირადად მე ვლებულობდი ბარათებს, სადაც ზოგიერთი ამხანაგი სავსებით მამართლებდა და მიმტკიცებდა: ან ვერ გაგიგეს, ან არ უნდათ გაგებაო.

ვინ იყვნენ ეს ამხანაგები? ეს იყო 20 წელში, მაგრამ ვინც მაშინ ხელი გამოგვიწოდა, სწორედ ისინი იყვნენ, რომელნიც შემდეგში ჩვენს რიგებში ჩადგნენ ურყეველად. ჩვენ ხომ არავითარი მოლაპარაკება არ გვქონებია ჩვენს ამხანაგებთან დარაზმულობისათვის, მაგრამ თურმე სულიერ დარაზმვას დიდი ადგილი ქონდა პარტიაში, რამაც მალე იჩინა თავი.

მართლაც, მეტად ახირებული წიგნი დავწერეთ. ს.-ფედერალისტთა პარტიაში ვმუშაობდით და მთელი წიგნის კვლევა-ძიება მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკებს ემსახურებოდა. ისე გამოდიოდა, რომ ფედერალისტთა პარტიაში ვკაკანებდი, ხოლო კვერცხები კი ბოლშევიკების ბუდეში იდებოდა. განა ამაზე მეტი ახირებული მოვლენა წარმოსადგენია?

ახირებული იყო მდგომარეობა მითაც, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შემთხვევაც არ ყოფილა ადამიანს სხვა პარტიის მიმართულება და საქმე გაემართლებინოს სავსებით და ამავე დროს პარტიას არ მიკედლებოდეს. ამხანაგებმა მოინელეს ეს წიგნი, თუმცა მუდამ იხსენიებდნენ სიმონ მდივნის მახვილის ენით.

ეხლა სწორედ ამავე წიგნისათვის გვჩხვლეტს ამხ. ი. ბ.-ი. უფრო კარგად შეხვდა ჩვენს წიგნს მოსკოვის „პრავდა“ და ვგონებ ბაქოს კომუნისტური ორგანო, რომლის რეცენზიის შინაარსი მხოლოდ გადმოცემით გავიგე. მათ წიგნი დადებით მოვლენად მიიჩნიეს.

ასე ხშირად, გარეშე მეთვალყურე უფრო მეტ მიუდგომლობას იჩენს, ვიდრე შინაური, თუმცა ლოღიკურად ეს შეუსაბამობას შეიცავს.

რაკი ამხ. ი. ბ.—ჩვენი წიგნის დასკვნებს მე-IV წერილში აქცევს მთელ ყურადღებას, ჩვენც მხოლოდ ამ წერილს ვარჩევთ. პირველ ყოვლისა ამხ. ი. ბ.-ის ძალიან გაკვირვებია ის გარემოება, რომ ჩვენ 1919—20 წელში ის ვიყავით, რაც 21 წელში, ხოლო 23 წელში ისა ვართ, რაც 20—21-ში. „ძალიან სამწუხაროა, თუ ეს ასეა, ჩვენ არ გვინდა, რომ ეს დავიჯეროთ, ჩვენ გაცილებით უკეთესი შეხედულების ვიყავით თქვენზე“—სწერს ამხანაგი ი. ბ.-ი.

აი, მართლა საკვირველი ამბავი, თუ ჩვენ წარა-მარა აზრებს ვიცვლით და ვხეტიალობთ—თურმე ეს მოსწონს ამხ. ი. ბ.-ის. 19 წელში ჩვენ რომ ერთი **მთავარი** აზრი გვქონდეს, ბოლოს 20-ში კიდევ სხვა, 22-ში კიდევ ახალი აზრი—ეს თურმე ამხ. ი. ბ.-ს სიხარულის ფრთებს შეასხამს და ჩვენც ტაშს დაგვიკრავს, მაგრამ ნუ თუ ამხ. ი. ბ.-მა არ იცის, რომ პრინციპიალური მუდმივობა სასახელო და მისალებია თუ იგი ცხოვრების მამოძრავებელ კანონებს შეეფერება?

ჩვენ დავამტკიცეთ: 1919 წელში ჩვენ ვიდექით საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე, ჩვენ ვიდექით ბურჟუაზიულ ევროპის დეგრედაციის აზრზე, რუსეთის რევოლიუციას ვაფასებდით, როგორც სოციალისტურ რევოლიუციას და რუსეთის რევოლიუციის ყველა **მთავარი** სახე მიგვაჩნდა სოციალისტურ რევოლიუციის ბუნებრივ მოვლენად. აი ეს იყო ჩვენი მთავარი მრწამსი, რაიცა დავამტკიცეთ უამრავის ამონაწერებით ჩვენივე წერილებიდან და რასაც კიდევ დაუმტკიცებთ ამხ. ი. ბ.-ს მთელი სტატიების ხელ-ახლა გადმობეჭდვით. აი თურმე ეს ყოფილა სამწუხარო მოვლენა, რის წარმოდგენაც არ შეუძლია ამხ. ი. ბ.-ს.

1919 წელში ჩვენ საერთაშორისო რევოლიუცია გვწამდა, ამხ. ი. ბ.-ს უნდა, რომ 1923 წელში ჩვენ გვწამდეს რა?—ამის საწინააღმდეგო? ეს ხომ იქნება საერთაშორისო რეაქცია? ნუ თუ თქვენ გინდათ და გაგიხარდებათ, რომ რეაქციის გზაზე დავმდგარიყავით?

1919 წელს მხოლოდ ჩვენ ვადიდებდით რუსეთის რევოლიუციას და რუსეთის რევოლიუციის მთავარ პოლიტიკურ და ეკონომიურ ფორმების გადმონერგვას მოვითხოვდით საქართველოში. ნუ თუ ამ აზრისათვის უნდა გვეღალატა 1921 წელში? ნუ თუ ეს გაგახარებდა ამხ. ი. ბ.-ი?!

1919—20 წლებში ჩვენ გავათახსირეთ—თვით „ერთობის“ დახასიათებით—მენშევიკური საგანგებო რაზმი და შინაგან საქმეთა მინისტრს საჯაროთ „ვლანძღავდით“ (ერთობისავე გამოთქმით). ნუ თუ ამხანაგო ი. ბ.—ი თქვენ გაგახარებდათ, რომ შარავანდედის სხივით შეგვემოსა ერთიც და მეორეც?

დიახ, ჩვენს **აზროვნებაში და მიმართულებაში** ჩვენ ვხედავთ სიმტკიცეს, მუდმივობას და ამაში ჩვენ ვხედავთ ჩვენს სიყოჩაღეს, დადებით მოვლენას.

მაგრამ ცვლილება მოხდა ტაკტიკაში, პარტიასთან ურთი-ერთობაში. 1921 წლის დიდმა გარდატეხამ საქართველოში მემარჯვენე ფრთა წაიყვანა მენშევიკების გზით და ჩვენ შევრჩით ჩვენს მთავარ გეზს. აქ მოხდა ფორმალური ცვლილება, მაგრამ ეს ცვლილება ლოღიკური დასასრული იყო მთელი ჩვენი შეხედულების და ჩვენს შემდგომ ნაბიჯებში დაცულია ლოღიკა, ჩვენ არ გვიღალატნია ჩვენი აზრებისა და საქმეებისათვის.

იქნებოდა თუ არა ღალატი ჩვენი აზრებისა 1921 წელში მემარჯვენეებთან ერთად რომ დავდგომოდით მენშევიკების გზას, რაიცა მიგვიყვანდა ჩოლოყაშვილის ავანტიურამდე? იქნებოდა თუ არა ყოველივე ეს ქება-დიდება რასაც წინად ვძაგებდით და ძაგება რასაც ვაქებდით?

—დიახ, იქნებოდა, ჩვენ დავილუპებოდით, ჩვენ ვუღალატებდით საქართველოს, მის მშრომელ ხალხს, რევოლიუციას. ჩვენ ვამაყობთ, რომ საერთაშორისო რევოლიუციის იდეა ჩვენში დაიბადა არა 1921 წლის 25 თებერვალს, არამედ გაცილებით ადრე, როცა რუსეთის რევოლიუციამ თავის ალში გახვია რეაქციონური სამყარო.

ამხ. ი. ბ.—ი შემდეგ გადადის გენერალურ თავდასხმაზე და ციტატა მოყავს ჩვენი წიგნიდან, ისევ და ისევ „დასკვნიდან“ სადაც ის ხედავს წინააღმდეგობას და რაშიაც უნდა დაგვიჭიროს.

ამა, თქვენი მახვილი და ჩვენი კისერი!

მაგრამ რა სუსტი მახვილი დაუჭერია ამხ. ი. ბ.—ს?! არც ისე პატარა წიგნში ამხ. ი. ბ.—ს უშოვია სულ ორიოდე ციტატა და რაკი მეტი მასალა არ მიუცია წიგნს, ისე ერთსა და იმავე ციტატას განმეორებით მიმართავს.

— რას ნიშნავს ეს?

— ეს ნიშნავს, რომ ის ერთის ხელის დაკვრით ვერ აზრხებს ჩვენი თავის მოკვეთას და ხელმეორედ, განმეორებით გვირტყამს ხოლმე, მაგრამ რაკი ის მახვილი თავს ვერ გასჭრის, რომელიც პირველსავე დარტყმაზე ვერ ასრულებს მეომარის ნებისყოფას, ამჯერად მეორე მოქნევისათვის ის უკვე ბლაგვი მახვილია და თუ ერთხელ დარტყმულ ალაგასვე არ დაეცა მეორედ მოქნეული მახვილი—ის სრულიად უმნიშვნელოდ ჩაივლის. დაგვრჩება ხელში მხოლოდ შეჯიჯგნილი კისერი, მეომარის ვამაწბილებელი.

ასეთი ბედი მოეწია ამხ. ი. ბ.—ს.

—დაგვარტყა თავის ბლაგვის დაბლაგვული მახვილი ამხ. ი. ბ.—მ? აიღო ხელში ჩვენი თავი და მკითხველს მისთავაზა სატროფეოდ?—ვერა, ილტის ოდნავადაც ვერა!

ჩვენ ვიცავდით საქართველოს დამოუკიდებლობას.

რას ნიშნავს და რას ნიშნავდა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ნიშნავდა ჩვენი ცნება „საქართველოს რესპუბლიკა“ მენშევიკურ საქართველოს?

ამხ. ი. ბ.—ს ერთი ყოვლად არასასურველი და სახიფათო ჩვეულება აქვს. ხან ის მიმართავს ხოლმე ყალბ ციტატას და ყალბი მასალით სარგებლობს, ხან კი, როცა ნამდვილ მასალას მიიღებს უკვეველად სხვის აზრში და ციტატაში თავისას ჩააწვეთებს, ჩაუმატებს ხოლმე.

რად შვრება ამას ამხ. ი. ბ.—ი? თუ ციტატა მისთვის ხელსაყრელია და იმასვე ეუბნება, რისთვისაც ის იყენებს, მაშინ რაღას უმატებს თავის სიტყვას? ალბად სავსებით ვერ აკმაყოფილებს მას ჩვენი ციტატა? თუ ასეა მაშინ სულ უნდა გვიანებოთ თავი ციტატას.

ეგების იმიტომ უმატებს ჩვენს ციტატაში თავის განმარტებითი სიტყვას, რომ პედაგოგის როლს ასრულებს და მკითხველს უადვილებს ციტატის გაგებას? მაგრამ ასეთი განუვითარებელი მკითხველი არ მგონია, რომ ი. ბ.—ს წერილებს კითხულობდეს.

მაშ, რაშია საქმე?

აბა დააკვირდით? ი. ბ.—ს მოყავს ჩემი ციტატა: „საქართველოს რესპუბლიკა (იგულისხმე მენშევიკების ბატონობა) მოითხოვს“... და სხვა.

მთავარი საქმე სწორედ აქ არის. ვინ ჩაამატა ფრჩხილები და სიტყვები „იგულისხმე მენშევიკების ბატონობა“? თუ ეს ჩაამატა ამხ. ი. ბ.—მ, მაშინ მას ხელიც უნდა მოეწერა იქვე? და რაკი ის ხელს არ აწერს, აშკარაა, ყოველ მკითხველს, რომელსაც ელემენტარული წარმოდგენა აქვს მწერლობაზე, ისე იფიქრებს, რომ ფრჩხილები და სიტყვები ჩვენ გვეკუთვნის. მაგრამ არსად ეს სიტყვები ჩვენ არ გვაქვს. ეს თუ შეცდომით მოუვიდა ამხ. ი. ბ.—ს—უნდა ვაღიაროთ იგი სამწუხარო შეცდომად, ხოლო თუ ის განზრახ არის ჩადენილი და არა შეცდომით, მაშინ, მარტო ამ სიტყვების ჩამატება ბოროტებაა და აზრის მთლიანად გადამახინჯებაა.

ამხანაგო ი. ბ.—ი: მთელი წიგნი „საგზაო პოლიტიკა“ და მთელი ჩვენი ნაყოფიერი მწერლობა რაოდენობით—ნება მიბოძეთ ამის განცხადებისა—მიმართულია სავსებით მენშევიკების წინააღმდეგ. არც ერთი დებულება მენშევიკებისა ჩვენ არ მიგვიღია **არახოდეს**, არც ეკონომიკა, არც პოლიტიკა, არც ნაციონალური საკითხი მენშევიკებისა არ გაგვიზიარებია. როგორ მოხდა, რომ უცებ საქართველოს რესპუბლიკა ისე მივიღეთ, როგორც მენშევიკებს ესმოდათ?

თვით ჩვენსავე წიგნში, იქვე, „დასკვნაში“, სადაც ასე თავისუფლად ნავარდობს ამხ. ი. ბ. ჩვენ ვამბობთ, თუ რას ვხედავთ და რას მოვითხოვთ საქართველოსათვის. „დასკვნაში“ ჩვენ ვწერთ: „ჩვენს ქვეყანაში ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, ვქადაგებთ სოციალიზმის იდეას, ვარკვევთ ისტორიულ ადგილს, როგორც გარდამავალ მომენტს კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ, ე. ი. **დაახლოებით იმ პოლიტიკას ვიზიარებთ** (придерживаемся),

თანადო ცნობები სისტემატიურად მიაწოდოს როგორც ქართული, ისე რუსული პრესას.

**მადლობის ბარათი**

ცეკავშირის სახელზე აზერბაიჯანის სავაჭრო-სამრეწველო მუზეუმის კომიტეტისაგან მიღებულია ბარათი, რომელშიაც აღნიშნული კომიტეტი უაღრეს მადლობას უცხადებს საქართველოს ცეკავშირს აზერბაიჯანის ვაჭრობა-მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუზეუმისათვის ქერამიკული ნაწარმოების მთელი კოლექციის საჩუქრად გადაცემის გამო.

**მესაქონლეთა კოოპერატიული ამხანაგობის დაარსება თრიალეთის რაიონში.**

მიმდინარე წლის აგვისტოს დამლევს თრიალეთის რაიონის მესაქონლეებმა თხოვნით მიმართეს საქართველოს ცეკავშირს, რათა უკანასკნელს მიეღო თავის-თავზე ხელმძღვანელობა და მზრუნველობის გაწევა აღნიშნულ რაიონში მესაქონლეობის დარგის განვითარების საქმეში.

ცეკავშირის გამგეობამ მიიღო რა მხედველობაში მესაქონლეობის ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის, დაუყონებლივ მიიღო ზომები თრიალეთის რაიონის მცხოვრებთა თხოვნის დასაკმაყოფილებლად.

საორგანიზაციო—საინსტრუქტორო განყოფილების მიერ წარგზავნილ იქნა ადგილობრივ მდგომარეობის გამოსარკვევად ერთი ინსტრუქტორი, რომელმაც მიიღო წინასწარი ზომები კოოპერატიული ამხანაგობის „თრიალეთის“ დაარსებლად. ადგილობრივი მცხოვრებლების რწმუნებულთა კრებაზე არჩეულ იქნა სამი პირისაგან შემდგარი ინიციატორთა ჯგუფი, რომელიც სულ მოკლე ხანში დაასრულებს მასზე დავალებულ მუშაობას ამხ. „თრიალეთის“ ორგანიზაციისათვის. ამ ამხანაგობაში შევა შემდეგი 5 სოფელი:

სალამ-ალეიქი, მეითი-აგალარ, სალამ მალეიქი, ზემო-კარაბულახი და ქვემო-კარაბულახი დაახლოვებით 177 კომლი მცხოვრებით და 1960 მეწველი ძროხით. თვითეულ სოფ. მოწყობილია რძის ნაწარმოების ქარხანა, რომელშიაც მზადდება საზაფხულო სეზონში (მაისი—სექტემბერი) 5 ათასი ფუთამდე შეჯერცხოული ყველი.

ზოგიერთ ქარხნებს ესაჭიროება შეკეთება და რემონტი. აღნიშნულ მესაქონლეობისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენის შემდეგ დაამზადება გაიზრდება ერთი ორად.

ზამთრის სეზონში დამზადება დაახლოვებით 5 ათასი ჩვენებური ყველი და კარაქი.

„თრიალეთის“ ამხანაგობა მისი ორგანიზაციის დამთავრებისთანავე მიღებული იქნება ცეკავშირის ოჯახში, რომელიც გაუწევს ახალ კოოპერატიულ ორგანიზაციას ყოველგვარ დახმარებას.

# პარტიაში

საქართველოს მემარც. სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის ზუგდიდის სამაზრო კომიტეტი ამით აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ ა. წ. 9—სექტემბრამდე გაცემული ყველა მანდატები გაუქმებულად ითვლება და მოხდება წევრთა ხელახალი რეგისტრაცია.

ამხანაგებს ევალებათ გამოცხადდენ ახალი მანდატების მისაღებად სამაზრო პარტ. ბიუროში, სენაკის ქუჩა № 7 საღამოს 4 საათიდან 7 საათ.

ვინც არ გამოცხადდება აღნიშნულ ვადამდე ჟამორიცხულ იქნება ორგანიზაციიდან.

სამაზრო კომიტეტი.

**— დღეს, სამშაბათს, საღამოს სრულ 7 საათზედ, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.**

სამშაბათს, სექტემბრის 9 ს. საღამოს 7 საათზე შესდგება მორიგი სხდომა ტფ. მე-2 სარაიონო კომიტეტის, გასარჩევია სასწრაფო საკითხები.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი.

**სოფ. ხაჯვაზავო ახალ აბაშის თემი).**

მდებარეობს ახალ აბაშიდან ორი ვერსის მოშორებით დასავლეთის მხრივ. თავისი მდებარეობით ის წარმოადგენს ერთ მშვენიერს, კოხტად და მჭიდროდ დასახლებულ მიდამოს. ისედაც ლამაზ საქართველოს ბუნებას, მეტად ალამაზებს კოკლუცად მორთული სოფლები. ჟვევს გარეშეა, რომ კულტურული ცენტრი პერიფერიაზე დიდ გავლენას ახდენს, მასში შეგნების შეტანის მხრივ ბუნებრივად დაკავშირებულ ახალ აბაშასთან. ეს სოფელი პოლიტიკურადაც მოლონიერებული და გათვითცნობიერებულია. სამი თვის წინ ამ სოფელში დაარსდა მემარცხენე სოც. ფედერალისტთა პარტ. უჯრედი, რომელშიც წევრთა ზრდა დღითი დღე ემჩნეოდა, რამაც მოგვცა საშვალება უჯრედი გადაქცეულიყო ორგანიზაციათ სამაზრო კომიტეტის დასტურით. პირველ ხანებში პარტ. ორგანიზაციის მუშაობა არ განისაზღვრებოდა მარტო პარტიულ მუშაობით, არამედ მას დასახული ქონდა გაეფანტა ყოველივე ბურუსი შეეტანა შეგნება და სიხალისე ფართო მასებში.

ამ დღეებში ჩვენი პარტიის წევრთა დაუღალავ მუშაობით საფუძველი ჩაეყარა ისეთ დიადს საქმეს, როგორც არის სამკითხველოს დაარსება, სადაც თქვენ იპოვით გაზეთ „ტრიბუნას“, „კომუნისტს“, „მუშას“ და სხვა და სხვა საკითხავ პოლიტიკურ და ლიტერატურულ წიგნებს. დიდი მადლობის ღირსია ამხ. პლატონ გვაზავა, რომლებმაც პირველმა იკისრა შეედგინა დასი და წარმოდგენები დაედგა ხშირად სოფ. საგვაზავოში ასეთი საკეთილდღეო საქმისათვის მადლობის ღირსნი არიან და გულწრფელ ამხანაგურ სალამს სწირავს ყველა საგვაზავოს პარტ. ორგანიზაციის წევრნი შემდეგ ამხანაგებს, რომლებიც ღებულობდენ წარმოდგენის დადგმაში აქტიურ მონაწილეობას უსასყიდლოდ: სერაპიონ ქანტურიას, ვენე გვაზავას, ცარუ გვაზავას, ლიდა სიმონიას.

გაზეთ „ტრიბუნა“-ს [illegible] ხდება შემდეგ პუნქტებში: სოფ. საჩინო, სოფ. [illegible] კარი, ძიგურის ახალშენში მდინარე აბაშის პირას, [illegible] მშრომელ გლეხობის მეტ ნაწილს შეძლება ეძლევა გაეცნოს სადღეისო პოლიტიკურ თუ ეკონომიურ საკითხებს.

მდივანი **გრიშა რუხაძე.**

# ს. ს. რ. კავშირის სასოფლო სამეურნეო გამოფენა

IV

გამოფენის ტერიტორიის ცენტრალური ადგილი, ცალკე რესპუბლიკათა პავილიონებს უჭირავთ. ქართველისათვის, და ყველა მათთვის, ვინც დაახლოვებით იცნობს **საქართველოს,** ჩვენი პავილიონი ადვილი სანახავია. ეს უკანასკნელი თვითონაა თავისი „იგზის მაჩვენებელი“ ადგილმდებარეობის და შენობის სტილის ისტორიული გამართლებით. *)

ადგილის და პავილიონის სივრცით, საქართველო მეორე რესპუბლიკაა. (პირველი თურქესტანია) მთელი შენობის და შინა-ეზოს ირგვლივ პავილიონს აკრავს ლამაზი ვიწრო ბაღი, მრავალ-გვარი მცენარეულობით პავილიონს ორი შესავალი აქვს: ეზოდან და სადარბაზო. მნახველები უკანასკნელით შედიან.

*) საქართველოს პავილიონი სექტემბრის 10 გაიხსნა. მის გახსნას დაუკავშირეს ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკათა პავილიონების გახსნა, თუმც აზერბეიჯანი, სომხეთი და აფხაზეთი რამდენიმე კვირით ადრე იყვნენ მომზადებული, მაგრამ გამოფენის მთავარი კომიტეტი ოფიციალურად არ ხსნიდა მათ საქართველოს პავილიონის დამთავრებამდე. დილის 12 საათზე საქ. პავ-ის შენობაში, ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობის დავალებით ტერ-გაბრიელიანმა გახსნა ა. კ. ყველა რესპუბლიკათა პავილიონები. გახსნას დაესწრენ: ჩიჩერინი, კრასინი, ენუქიძე, ბრაგინი, საურენკო, სასნოვსკი და სხვ. პირველი სიტყვა წარმოსთქვა კრასინმა, რომელიც განსაკუთრებით შეჩერდა საქართველოს ბუნების მრავალგვარობასა და ჩვენი პავილიონის სიმდიდრეზე. შემდეგ ილაპარაკეს ბრაგინმა და სხვებმა. გახსნის შემდეგ დაათვალიერეს სომხეთი და აზერბეიჯანი, შემდეგ კვლავ საქართველოს პავილიონს დაუბრუნდენ და დაწვრილებით დაიარეს ყველა განყოფილებები. ქართულ მარანში ჩვენი გამოფენის კომიტეტი გაუმასპინძლდა სტუმრებს ძველი ღვინოებით, სადაც მრავალ მისალმებათა შორის ჩიჩერინმა მეტად საგულისხმო სიტყვა წარმოსთქვა.

გ. თ.

ჩვენც აქედან ვიწყებთ:

შენობა ერთსართულიანი. მოგრძო. წინ, ორ მხარეზე, აივანი ლამაზი მოაჯირით. სახურავი ყავრის, უსაწვიმარო. ხშირი ფანჯრები. შუა ალაგზე შესავალი კიბით. ორ ბოძს შუა შესავალთან, აბრა წარწერით: „საქართველო“, „Грузия“ შევდივართ შიგნით: დათვალიერებას ვიწყებთ გამოფენის თავიდან:

**შინამრეწველობა**. ექსპონატები დალაგებულია სისტემით. იწყება განყოფილება საქართ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის. ქსოვილები, სადაც ირჩევა ბოდბის მონასტრის ექსპონატები. ხალები, სპარსულ სტილზე ქართული ორნამენტით; ჰურჭელი და საკრნავნი ეროვნულ-ტრადიციულნი; იარაღების ტანის, ქართველი მეომრის ისტორიული სამკაული. არის ლეკურიც; შალები ოსური, იმერული და სხ. მატყლეულები და მატყლი ფშაური, მთის. ახალი ქსოვილები ხარფუხის სახელოსნოების და ოზურგეთის. დგამი ოსეთის, მაგრამ არ არის საქართველოში გავრცელებული სეციფიური დგამიდან: სამფეხი, სკამი, „ჯირკი“ და სხვ. არის აგრეთვე საფქვილე გობი საქსოვი ჯარა და სხვა ჩვენში გავრცელებული პრიმიტიული ნივთები.—შემდეგ იწყება ტყიბულის ქვანახშირის მაღაროები მშვენიერი ილიუსტრაციით. არის დიაგრამები ნახშირის წარმოების ექსპორტის რაოდენობა ციფრებში სხვა და სხვა დროს. სამთომადნო წარმოება საქართველოს მთების სიმდიდრის ნიმუშებით. „ჩემოს“ განყოფილებაში მთელი „ჭიათურა“—მოცემული. აქ არის მშვენიერი რუქა: გეოლოგიური განკვეთა ჭიათურის რაიონის მარგანეცის.

საინტერესოა ციფრებში მოცემული, ჭიათურაში დამუშავებული მარგანეცის რაოდენობა ხუთწლედებში 1888 წ.—1922-მდე. ყველა ხუთწლედების საშუალო ციფრზე ნაკლები უკანასკნელის 1918—22 წლის ხუთი წელიწადიაკამ ხანში დამუშავებული მარგანეცის რაოდენობა უდრის 2,8030 ტონს. წარმოდგენილია მადნის ნიმუშები. შემდეგ იწყება **ს. უ. ს. საბჭოს ტრესტების განყოფილებანი.** თამბაქოს ტრესტი. უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილია თამბაქოს რაიონების რუქა. თუთუნი სოხუმის სიღნაღის, ლაგოდეხის. არის აგრეთვე ნიმუშები ტრაპეზუნდის თუთუნისა და ხარისხი ჩვენებურ თამბაქოს-

**რომელიც აშკარადაა მოხაზული ბოლშევიკების მიერ წესდების პროექტში“.** (გვ. 154). და იქვე განმარტებულია შინაარსი იმ პოლიტიკისა, რომელიც მენშევიკური საქართველოს პოლიტიკას ძირფესვიანად უარყოფს.

ჩვენ ერთი რამ გავიზიარეთ მენშევიკების აქტებიდან. ეს იყო დამოუკიდებლობის აქტი. მაგრამ გიჟი უნდა ყოფილიყო ადამიანი დამოუკიდებლობა უარეყო 1918 წელში. ჩვენ არ ვიცით არც ერთი ადამიანი სალი პოლიტიკური ჭკუისა, რომელსაც სხვა საშუალება დაესახა იმ დროის საქართველოსათვის.

დიაღ, ეს ჩვენ გავიზიარეთ. ეს დანაშაული კი არაა, დამსახურებაა, იმიტომ, რომ ეს ამტკიცებს ჩვენს არა სიგიჟეს, არამედ ჭკუას. თვით ბოლშევიკები, რომელნიც ხედავდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა დედინაცვლის როლს თამაშობს მათთვის, რომელიც ტკბილ ჰანგებით საწამლავის ამანათებს უძღვნის მათ—აი ისინიც აშკარად აღიარებდნენ დამოუკიდებლობას.

„ახალი კომუნისტი“ აცხადებდა № 20: **„ჩვენ არა ერთხელ გაგვიცხადებია, და არა მარტო გაგვიცხადებია, არამედ კიდეც დაგვიხაბუთებია, რომ ჩვენ ვდგევართ საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და კიდევაც ვიცავთ მას“.**

მგონი გასაგებია ამხ. ი. ბ. იმ შემთხვევაშიაც, რომ არავითარი ფრჩხილები და სიტყვები აღარ ჩაუმატოთ. ბოლშევიკები ხედავდნენ, რომ საქ. დამოუკიდებლობა პირდაპირ მათ წინააღმდეგ იყო მიმართული, მარამ მაინც იცავენ მას.

მოუსმინოთ კიდევ „ახალ კომუნისტს“: „ჩვენ ვიცავთ იმ სახელმწიფოს, სადაც ჩვენ სრულუფლებიან მოქალაქეებადაც არა ვართ ცნობილი, სადაც ჩვენი ლეგალური მოქმედება ბეწვზე კიდია: ჩვენ ვიცავთ იმ **ძალას,** რომელიც ჩვენს წინააღმდეგ არის მიმართული,—მაშასადამე ჩვენ ვმოქმედობთ ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ.

არის თუ არა ესეც გასაგები ამხ. ი. ბ.—ი? არის: ისეთი მომენტი იყო, რომ ის უნდა გვეცნო თუნდაც იგი ყოფილიყო „ჩვენი ინტერესების წინააღმდეგ“. ეს სისულელეს კი არ ნიშნავს, არამედ პოლიტიკურ სიბრძნეს და ამ სიბრძნით თავისუფლად შეგვიძლიათ ვიამაყოთ.

მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხოთ ამხანაგო ი. ბ.: შეიძლება თუ არა მეც ერთი წუთით მასესხოთ თქვენი ჩვეულება და „ახალ კომუნისტის“, ესე იგი თქვენს ციტატაში ერთი-ორი სიტყვა მეც ჩაუმატო. ხომ იცი ქართული ანდაზა: „ხარი ხარობან დააბი ან ზნეს ისწავლის, ან ფერსაო“. ამ სესხებით ჩვენ ბევრს გავარკვევთ, მაგრამ თუ ძმა ხარ საშემდეგოთ კიდევ აღარ დავიწყოთ ახალი სესხებ-ვასესხება.

თქვენ **იცავთ** საქართველოს დამოუკიდებლობას, აქ ჩაუმატოთ თქვენივე სიტყვა „მენშევიკთა ბატონობა“. მართლაც დამოუკიდებლობა ხომ მენშევიკებმა გამოაცხადეს, დამოუკიდებლობა ხომ მენშევიკების პარტიის იყო უმთავრესად. მე აქ ვლაპარაკობ მის ზოგად ფორმებს. რა გამოდის აქედან? რასაკვირველია ამხ. ი. ბ.—ის ლოლიკით? გამოდის, რომ ბოლშევიკები იცავდნენ მენშევიკების ბატონობას.

დასაჯერებელია ესე თქვენი ლოღიკა ამას გულისხმობს, მაგრამ მე არც ერთხელ არ წარმომიდგენია და ეს არც ერთ ჭკუათამყოფელს არ წარმოუდგენია, რომ ბოლშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობის, საქართველოს რესპუბლიკის დაცვით იცავდნენ მენშევიკურ საქართველოს, რომ საქართველოში ბოლშევიკები იმას ხედავდნენ, რასაც ხედავდნენ მენშევიკები.

საქართველოს რესპუბლიკის დაცვით თქვენ თუ მართლა მენშევიკურ საქართველოს იცავდით, მაშინ კეთილ ინებეთ და ჩვენთან მობრძანდით და ორივემ ერთგვარად გავინაწილოთ ერთი და იგივე დანაშაული. ხოლო თუ ამ დანაშაულს მოუხსნით ბოლშევიკებს, მაშინ მოწყალება მოიღეთ და ჩვენც გაგვანთავისუფლეთ დანაშაულისაგან.

ერთი სიტყვით, ამხ. ი. ბ. თქვენ გასაქანიჭარა გაქვთ: ერთხელ და სამუდამოთ ხელი უნდა აიღოთ ორს ცუდ ჩვეულებაზე: 1. ციტატების შეპარინკებაზე 2. სხვის თვალში ბეწვს რომ ამჩნევთ, საკუთარს თვალში დვირე მაინც უნდა დაინახოთ.

წავიდეთ ქვევით. ჩვენ ერთი დიდი ნაკლი გვაქვს: ჩვენ ვიცავდით ნეიტრალიტეტს. მენშევიკებში ამბობდნენ: ჩვენი გზა ევროპისაკენ არის აზიის წინააღმდეგო. ჩვენ ვამბობდით: ჩვენი გზა ყველგანაა, ამიტომ კოალიციებს ვერ მივეკედლებით, თქო ვწერდით: „საქართველოს რესპუბლიკა არ უნდა მიეკედლოს არც ინგლისის იმპერიალიზმს, არც მოსკოვის ბოლშევიზმს“.

ამას ვწერდით ჩვენ: ეს არის ჩვენი სისუსტე. მაგრამ მთლად ნუ შევცურავთ ამ სიტყვის მნიშვნელობის ტბაში და მართლა გავმინჯოთ მართალი ვიყავით თუ არა?

რა ფარგლებში დავაყენეთ ჩვენ საკითხი?—წმინდა პრაქტიკულ ფარგლებში. „დასკვნაში“ ვწერდით: „ჩვენ უნდა გადავიტანოთ საკითხი **პრაქტიკულ** ნიადაგზე... დღევანდელ (**настоящий**) მომენტში“.

ამხ. ი. ბ.—ს საოცრად ეწყინება საკითხის ასე დაყენება. მას ხომ პრაქტიკა არ უყვარს, ის ხომ მომენტებს არ დაეძებს, ის ხომ ყოველთვის ცარიელ დაფას ხედავს და სწერს, რაც ბოგდანოვის ან სტუჩკის სახელმძღვანელოები ეუბნება. სტუჩკა და ბოგდანოვი დიალექტიკოსები არიან, მეტაფიზიკას ებრძვიან და მომენტებს უდიდეს ანგარიშს უწევდენ.

მითხარით ამხ. ი. ბ.: უდიდესი სამსახური იქნებოდა თუ არა რევოლიუციისათვის ჩვენ დაგვეცვა ის გზა, რომელსაც მე „დასკვნაში“ მოვითხოვდი 1919—20 წელში? ესე იგი ნამდვილი ნეიტრალიტეტის დაცვა, არ მიღება ინგლისის ჯარის, ხოლო შინ საქართველოში საბჭოთა წყობილება დაგვემყარებია?

რა ნაირია ჩემი ჩემი ნეიტრალიტეტი? განა თქვენ არ იცით? „დასკვნა“-ში ვწერთ: „თანამედროვე საქართველო არ დაუშვებს, რომ განმარტოებულ რუსეთს ზურგიდან მოეპაროს და მოღალატურად ჩასცეს მახვილი“. ამავე დროს მთელი შინაური საქართველო ჩვენ მოვითხოვეთ „დასკვნაშივე“ მოგვეწყო ბოლშევიკების წესდების მიხედვით, გვ. 154.

მენშევიკებმა საქართველო მოაწყვეს ბურჟუაზიულად, გადმოიღეს ინგლის-საფრანგეთის წესები, ეს ნამდვილი ნათესაობა იყო მენშევიკების ბურჟუაზიასთან. ჩვენ კი მენშევიკების ევროპას დაუპირისპირეთ აზია—რუსეთი და მოვითხოვეთ სოციალისტური წყობილების წესები.

განა ორსავე ამ შემთხვევაში ნეიტრალიტეტის შინაარსი აშკარა არ არის?

მაგრამ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს აშკარად რომ მიეღო ბოლშევიკურ რუსეთის კოალიცია რა სარგებლობას მოიტანდა?

ეს მოუტანდა უდიდეს ზარალს საქართველოს, ეს იქნებოდა საშინლად ხაზარალო რუსეთისათვის. 1919—20 წელში, როცა რუსეთი ტულა-ვორონეჟის ფრონტებზე იდგნენ საქართველო ვერავითარ რეალურ დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, ხოლო ინგლისის ჯარი სეირნობას და ზოგად ბრძანებლობას კი არ დაიწყებდა, ის საქართველოში გაცილებით სხვა ხასიათის მუშაობას დაიწყებდა და შესაძლოა დენიკინ—ალექსეევის საზღვარი ლარსთან კი არ ყოფილიყო, არამედ სადმე ყარსის მახლობლად. იმ დროს სხვა სახით საგარეო პოლიტიკა უაზრობა იყო და მოგეხსენებათ ამხანაგო ი. ბ. ჩვენ ძალიან გაურბით უაზრობას.

ნეიტრალიტეტი, მაგრამ ამავე დროს შინაური ცხოვრების მოწყობა სოციალისტურად, ქადაგება, რომ „ყოველივე ბოლშევიკურ მოლაპარაკებას იმპერიალისტურ ქვეყნებთან აქვს ბოლშევიზმის იდეის პროპაგანდის ხასიათი, იმპერიალიზმის და საიდუმლო დიპლომატიის დათრგუნვის (бичевания), რომ «история на стороне социализма, что времена империализма прошли безвозвратно, и что именно большевики доведут до конца историческую задачу империализма»... და სხვა და სხვა, განა არ აშკარავებს ჩვენი ნეიტრალიტეტის შინაარს?

მაგრამ რას ვამბობ? განა ამხ. ი. ბ.—მ არ იცის, რომ ჩვენ მართლა სრულიადაც არ ვიზიარებთ ნეიტრალიტეტს? ჩვენ ნეიტრალიტეტი გვჭიროდა იმდენად, რამდენადაც ეს რევოლიუციისათვის იყო საჭირო, რამდენადაც ის უფრო საზარალო იყო რეაქციისათვის. ნეიტრალიტეტიც—ტაქტიკაა, ხერხია, ბრძოლის მეთოდია.—ასე უყურებთ ასეთს საკითხებს ჩვენ დღესაც და ასე უყუყურებდით წინადაც.

განა უაზრობა არ იქნება რუსეთმა, როგორც სახელმწიფომ განაცხადოს **დღეს,** ამ წუთს: ბოლგარეთში რევოლიუციაა, გადადექით აბჯარი ავკრიბე და მოვდივარო? ან ეს ჩაიდინოს ყოველ წუთში გერმანიის მიმართ?

მიზანს, საქმეს, პროგრამას თავისი ადგილი და დრო აქვს ამხ. ი. ბ. და ჩვენს „დასკვნაში“ ჩვენ ვამბობდით, როგორც რუსეთის რევოლიუცია გასცილდება თავის ნაციონალ ფარგალს, ესე იგი, როგორც ის საერთაშორისო ხასიათს მიიღებს, ესე იგი როცა ჩვენ პრაქტიკულად შეგვეძლება სარგებლობის მოტანა, ჩვენ ისევ უნდა ნეიტრალიტეტი ვილილინოთ? არა ამხ. ი. ბ. და აი ჩვენს „დასკვნაში ვწერთ: „актуальную революционную, социалистическую энергию грузинский пролетариат должен проявить в процесе мировой революции, когда мы можем и должны открыто примкнуть к силам революций“., გვ. 153.

რასაკვირველია, ეს ეხება საერთაშორისო პოლიტიკას. დიახ, როცა **„შეიძლება“,** როცა **„უნდა“.** აშკარად მიეკედლოს ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო რევოლიუციას.

განა აქედან აშკარა არაა, თუ როგორ უყურებთ ჩვენ ნეიტრალიტეტს? რასაკვირველია, აშკარა, მაგრამ ეს აშკარა ამხ. ი. ბ.-სათვის სიბნელითაა მოცული.

დასასრულ ამხ. ი. ბ.—ს მოყავს ჩვენი ციტატა, მგონი ერთი, შეუპანჩიკებელი, სადაც ჩვენ თავს ვდებთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

ეს არის ბრწყინვალე გამარჯვება ამხ. ი. ბ-ს. მოგვილოცნია. მაგრამ ერთი მითხარით ამხ. ი. ბ. აქაც ჩვენს შორის რა განსხვავება: თქვენ **იცავდით** და **იბრძოდით** საქართველოს დამოუკიდებლობისათვის, მაგრამ ამ ბრძოლაში თავს არ სწირავდით, თქვენსავითვე ჩვენც ვიცავდით დამოუკიდებლობას, მაგრამ მხოლოდ თავს ვდებდით.

აქ მხოლოდ ერთად ერთი განსხვავება: თქვენ ისეთი ბრძოლა იცით, როცა თავს კი არ დებთ, არამედ მხოლოდ თავის კოფოს და ქოჩორის ზედნაფენებს, ჩვენ კი ბრძოლა წარმოგვიდგენია უფრო სერიოზულად, ვიდრე პარიზის მარიონეტკების თეატრში და ვგულისხმობდით თავის დადებასაც.

დეე მკითხველმა განსაჯოს რაშია ჩვენი განსხვავება.

**ფილე ღლონტი.**

თან შედარებისა, არის გასაღებული თუთუნის რაოდენობა. აქედან იწყება კედლის დიდი რუქა საქართველოს ეკონომიურ სიმდიდრის და მრეწველობის გავრცელებისა. სურათებში გადმოცემულია სპილენძის დამუშავება და ნიმუშები. მიწის მფლობელობის განყოფილება იწყება ნიადაგის სქემატიური პროფილით ხაზზე: ფოთი-ტფილისი-ყარაიაზი. დიოგრამები მიწით სარგებლობის. საქართველოს ტიპიური ნიადაგის ნიმუშები. სულ 28. მეტად სერიოზულია და მეცნიერულად დამუშავებელი 18 დიდი რუქა, სადაც წარმოდგენილია საქართველოს სასოფლო მეურნეობის რაიონები და მთელი ეკონომიკა, სახელდობრ საინტერესოა: გეოლოგიური, გიდროგრაფიულ—მელიორატიული, ჰავის, ბოტანიკო-გეოგრაფიული, ოროგრაფიული, გეოგრაფიული და სხვ. მოსახლეობის შესასწავლად: ეტნოგრაფიული, ქალაქის მოსახლეობა 1886—79—917—22 წლებში მოცემულია დიოგრამებში საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამართველოს ცნობების მიხედვით. აქვეა რუქა მოსახლეობის შემჭიდროების. აქედან იწყება ცეკავშირი. უკანასკნელის ექსპონატთა შორის საინტერესოა ქსოვილთა წარმოება, მეფუტკრეობა, სადაც წარმოდგენილია სკები-ფუტკრებით და თაფლეულობის სხვა და სხვა გვარი. მეაბრეშუმეობა - მეტად სერიოზული და რთულია. ნაჩვენებია ჭიის მოვლიდან—პარკის კეთების და ამოხვევის მთელი პროცესი. ტყავეულობა შედარებით მდარეა და სუსტი. აქვეა მოდელები ჩვენებური ცხოველების და ფრინველების. ამ საერთო განყოფილების შუა ადგილში მინიატურაში მოცემულია საქართველოს სხვა და სხვა კუთხეები: **სვანეთი.** ალებულია ერთი სოფელი ტიპიური შენობები ძველი და ახალი ეზო და ციხე-კოშკები. საინტერესოა მოსახლეობა სვანეთის სოფლის მხატვრობის მხრივ (იგი ეკუთვნის მხატვრებს: კ. ტირის და ზანისის.) **გურია** წარმოდგენილია ერთი ოჯახი სოფელში. მდებარეობა ეზო და მახლობელი გარემო. შენობა რეალური ნიშნით. **იმერეთი**-დან მოცემულია იმერელი (სვირელი) გლეხის ოჯახის მოდელი. დაცული ტიპიური და სტილის დამახასიათებელი ხაზები. **კახეთი** წარმოადგენს ალაზნის სოფლელი გლეხის ეზო-კარს. მოდელს რამდენამდე აკლია რეალური თავისებურობის ელფერი. ამის შემდეგ იწყება **ტფილისის ბოტანიკური ბაღი.** პირველი ადგილი ფიზიოლოგიური ლაბარატორიის მოღვაწეობის გამოფენას უჭირავს. მცირეა მაგრამ საინტერესო დენდროლოგიური განყოფილება, სადაც კავკასიის მრავალი ხეების ნიმუშია მოცემული. რუქებში წარმოდგენილია ბოტანიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევები. იქვე კავკასიის ფლორა მარცვლებში ნაყოფებში. სულ წარმოდგენილია 2000 სახე. საინტერესოა ელდორიის ფიჭვი თავისი განსაკუთრებული თვისებებით, რომელიც მარტო საქართველოში იზრდება და გადაშენების გზაზე დამდგარა. ცალკე შუშებში მოთავსებულია გარეული და შინაური მცენარეულობის თესლები, რაც ზედმიწევნითი დაკვირვებითაა შესრულებული. სპეციალურ შუშებში მოქცეულია ხორბლეულობის კოლექცია. აქვეა ნაჩვენები ვავილოვის კანონები გომოლოგიური რიგების. ალსანიშნავია ხორბლეულის ერთი გვარი Triticum persicum, რომელიც მხოლოდ ჩვენში ხარობს და მისი არსებობის შესახებ არავინ იცოდა რაიმე.

ათი წლის წინეთ სრულიად შემთხვევით მისი თესლი ჩაუვარდა ხელში გამოჩენილ პროფესორს ვავილოვს, რომელიც მაშინვე მიხვდა, რომ მეცნიერებისათვის იგი სრულიად ახალი იყო. თესლში რომელშიდაც ერია Triticum persicum მას მიღებული ქონდა სპარსეთიდან და იფიქრა, რომ უკანასკნელის სამშობლოც სპარსეთი იქნებოდა, და გაემგზავრა ახალი აღმოჩენის მიზნით სპარსეთში, სადაც იგი ეძებდა ახალ თესლის 10 წლის განმავლობაში, ხოლო უკანასკნელ 1922 წელში ვავილოვმა Trit. pers. საქართველოში აღმოაჩინა და აღნიშნული სახელწოდებით შეიტანა ახალ გამოკვლევებში. სხვა და სხვა განყოფილებებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს: სელექციონური და ენტიმოლოგიური განყოფილება, კარგია ფიტოპატალოგია სამკურნალო მცენარეების. ამავე კუთხეში ადგილი აქვს **ბათომის ბოტანიკურ ბაღსაც,** სადაც გამოფენილია „მთავარი ავადმყოფობანი კულტურული მცენარეულობისა“.

ცალკე განყოფილება საქართველოს სასოფლო მეურნეობის მავნებლობასთან ბრძოლის ბიუროსი. ამის შემდეგ იწყება **მემინდვრეობის განყოფილება** შესაფერი რუქებით და დიოგრამებით. აქვეა **ცხოველთა** მოვლა მოშენების განყოფილება ყოველგვარი, საქართველოში არსებული, ცხოველების სურათები და სხვ.

**მერძევეობის განყოფილებაში** მოთავსებულია რძის ნაწარმოების ნიმუშები: პატარა კუთხე უჭირავს კავკასიის ცალკე არმიის ექსპონატებს. საინტერესოა **ვეტერინარია,** რამდენადაც იგი სიახლის მატარებელია ჩვენში. ცალკე დაფაზე გამოფენილია მასალები საქართველოს კონოლოგიისათვის.

ზემოთ—მოყვანილი მასალებით თავდება მთავარი პავილიონის შენობა. გადავდივართ ვენახში. ვენახის ვაზებს რამდენიმე საჟენის სივრცე უჭირავთ, არის ვაზების მრავალი ჯიში. ვენახი გაშენებულია ქვიშიან მიწაში და მშვენივრად ხარობს, ზოგი ვაზი ყურძნითაა დახუნძული. ვენახიდან შევდივართ **მარანში.** მარანი ყოველმხრივ ნატურალურია. კედლები ქვიტკირისაა. მარცხნით საწნახელი თავისი მოსაწყობი ნივთეულობით, შუაში ქვევრებია ღვინოებით აქვე ჰკიდია ორშიმო ორხელი და სხვ. საერთოდ მარანი კარგია. მის წინა ოთახში გამოფენილია ძველი ღვინოები (მაგ. 1900 წ. და უფრო ძველი) ცალკე დიოგრამებში და ციფრებში წარმოდგენილია კახეთის მეურნეობა. საინტერესოა კახური ღვინის ყოველწლიური ყიდვა 1894—1923 წლამდე, ყველაზე მეტი ღვინო, ძველად კახეთიდან გაუტანიათ 1913—14 წელში 92,008 ვედრო, ახლად მარტო 1922—23 წლებში გაუტანიათ 105,000 ვედრო. აქედან შევდივართ **მიწის სათბურში** (Оранжерие) სადაც მოთავსებულია აჭარისტანის სუბტროპიული მცენარეები ნაყოფით. მრავლადაა მანდარინი, ლატანია, პალმა—Cocos campistris. აქვეა ტეხნიკური და ნაყოფიერ სუბტროპიული მცენარეები. კარგია ეგრეთვე Ficus, და გადამუშავებული სუბტროპიული მცენარეების ნაყოფები. შევდივართ **ჩაქვას** შუშის სათბური. აქ არის დასასვენებელი—საჩაიე წარწერით „ჩაქვა“ ხეივანით. ხეივნის გარშემო გაშენებულია ჩაის პლანტაციები, ლერწმის და ბამბუკის ნერგებით. საერთოდ მიწის სათბურები, როგორც სუბტროპიული მცენარეულობის ისე ჩაქვის ჩაისა, მრავალი მნახველს ყურადღებას იზიდავს და სისტემატიური ლექციები იკითხება ექსკურსანტებისთვის.

პავლიონის უკანასკნელ შენობაში, მარცხნივ მოთავსებულია სატყეო განყოფილება და სამეურნეო იარაღ-მანქანების კუთხე. **სატყეო განყოფილება** იწყება საერთო ცნობების ექსპოზიციით როგორიცაა მაგ. სივრცე ტყის გავრცელებისა ჩვენში, ტყის მოსაწყობად და გასაშენებლად დახარჯული ფულის რაოდენობა—და საქართველოს დაყოფა სატყეო რაიონებად. დენდროლოგიური გამოფენის ადგილზე აუარებელი ხის ჯიშია დაწყობილი, ცალკეა ხის მაზიანებელი სოკოების ფორმები და სახეები.

ს. მ. უ. საბჭოს სატყეო ტრესტს აქ აქვს თავისი ადგილი, სადაც მოიპოვება ცნობები საქართველოს ხეტყის—წარმოების შესახებ. მასვე ეკუთვნის ხის მებელის ექსპონატები როგორიცაა მაგალითად ხის ტახტები, მაგიდები, სკამები და სხვ.

პავილიონის შენობის წინ არის პატარა შინაეზო, რომელიც ბაღჩას წარმოადგენს სხვა და სხვა ყვავილნარით და მცენარეულობით.

ეზოს წინ გაშენებულია რამდენიმე სკა, როგორც გარეული ისე შინაური—კულტურული ფუტკრით. მასთან თვალსაჩინოდ დაკავშირებულია საქართველოს მეფუტკრეობა სწარმოებს სკიდან თაფლის ამოღება, ფუტკრების „ხელვა“ და სხვ., მაყურებლის თვალწინ.

სკების მარჯვნივ მიწის ზედაპირზე ორი დიდი ქვევრია (ჭური) ამართული ყურძნის მტევნის ქანდაკებით.

საქართველოს პავილიონის ეზო, როგორც „საქართველო“ ძლიერი ესტეტიური განცდას ქმნის მხილველში, ქართული ბუნება აქ მინიმუმ სახეებშია გადაშლილი, „საქართველო“ აქ რამდენიმე ხაზშია მოცემული, მაგრამ მასში მაინც ულევ—მკვეთრი პოტენციალობა ინახება, და ფენომენალი მაგნიტიურობით თავის კალთის წიაღში ასვენებს, მრავალი სანახაობით დაღალულ ადამიანის ტვინს.

ასეთია „საქართველო“ ს. ს. რ. კავშირის სასოფ. სამეურნეო გამოფენაზე, ჩვენ დაახლოვებითი სურათის შექმნა შევსძელით მხოლოდ ვგრძნობთ, რომ მრავალი ყურადსაღები მომენტები გამოგვეპარებოდა. მართლაც ყოველი შთაბეჭდილება, როგორც impersion, ძნელია გადავიტანოთ ქაღალდზე.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ არ შეიძლება სრულ მიღწევად ჩავთვალოთ საქართველოს პავილიონი ამ გამოფენაზე, მას მრავალი რამ აკლია, მხოლოდ როგორც პირველი და ასწრაფებული, იგი უსათუოდ დამაკმაყოფილებელია, დახარჯულია მაქსიმუმი შესაძლეობის და ამით მართლდება ყოველივე.

ეგრეთვე ვსწერო იმაზე რაც არის, მხოლოდ რაც უნდა იყოს ეს საგანია მეორე თემის. და ჩვენ არ ვიტოვებთ უფლებას, უკანასკნელზე ვსწეროთ.

დასასრულს, არაა გაზვიადება თუ ვიტყვი: საქართველო, ამ საკავშირო გამოფენაზე, გამარჯვებულია უსათუოდ.

**გ. თავხარაშვილი.**

**მოსკოვი.**
სექტემბრის 23.

## [illegible]

**ტობანიერის თემი.** კვირას, 23 სექტემბერს, ადგილობრივ სახალხო სახლის კარებზე დავინახე მეტათ სასიამოვნო განცხადება. მომღერალი ი. რონინაშვილი მართავს დიდ კონცერტს. შესრულებული იქნება სხვა და სხვა სიმღერები ქართულ, რუსულ და იტალიურ ენებზედ. საერთოდ კონცერტის რეკლამამ, მეტად გაზვიადებულმა არ იმოქმედა ჩემზე კარგათ, მაგრამ ჩვენს სიხარულს... საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ხსენებულ თემში კონცერტის გამართვა ეს პირველი მაგალითი იქნებოდა და ამის გარდა იმედი გვქონდა, რომ ამ დღეს ნაწილობრივ მაინც მოგვეცემოდა საშუალება—მოგვესმინა ქართული მუსიკა და დავმტკბარიყავით ჩვენი ხალხურ მელოდიებით—მშრომელ გლეხობასთან ერთად. მაგრამ, სამწუხაროდ იმედი არ გაგვიმართლდა. ჯერ ერთი მომღერალმა ბილეთების ფასი ადგილობრივად მიღებულთან ერთი ხუთად გახადა და ამით ღარიბ გლეხობას საშუალება მოუსპო კონცერტზე დასწრებისა და მეორეც ის, რომ კონცერტის პროგრამა მეტად მოკლე, უშინაარსო, არეული და სუსტი იყო, ერთი ან ორი ნომერის გარდა.

პირველად სცენაზე გამოჩნდა ვანის თემის მომღერალთა გუნდი. გუნდს მომზადება აკლდა და მათი სიმღერები ოდნავ განვითარებულ სმენასაც ძლივს აკმაყოფილებდენ. შემდეგ შესრულებულ იქნა სოლო და დუეტი—რონინაშვილისა და ფარცხალაძის ასულის მონაწილეობით, რაიც დამაკმაყოფილებელი იყო. აღსანიშნავია აგრეთვე დუეტი რონინაშვილისა და აბელედიანის მონაწილეობით, სიმღერები იყო რუსულადაც. მომღერალმა საუცხოვოთ გადმოგვცა არია ოპერა „ლალატიდან“, დასასრულ რუსულად შესრულებულ და დადგმულ იქნა „[illegible]чели“.

კონცერტის პროგრამაში—რუსული ელემენტი ჭარბობდა. ნუ თუ მომღერალმა ქართულ ნაწარმოებებში ან ხალხურ სიმღერებში ვერ მოძებნა თავის კონცერტის შესადარი ნაწარმოებნი? ცენტრშიდაც დაუშვებელია ამრიგად არევა სიმღერებისა და პროვინციაში, გლეხურ მასებში რუსულ სიმღერებით გამასპინძლება—ეს განახლებისა და აღორძინების გზაზე მდგომ ქართულ მუსიკალურ ხელოვნების წინაშე პირდაპირ დანაშაულობაა... რად დასჭირდა აგეთი გამოსვლა პატივცემულ რონინიშვილს—მიკვირს. თუ ჩვენს ქალაქში, ჩვენს სოფელში ადგილი არ შეეძლება ჰონდეს წმინდა ქართულ კონცერტებს—მაშ რად გვინდა ჩვენი მდიდარი ეროვნული მუსიკა?... ან იქნება პატ. რონინიშვილი სუსტად იცნობს მას?—მგონია, რომ ეგ აგრე იყოს—თუმცა ესეც სრულებით ვერ გაამართლებს მას.

კონცერტი მეტათ მოკლე და უშინაარსო იყო. სიმღერები არ იყო შერჩეული. მეტი ყურადღების ღირსი იყო, ვიმეორებ ქართული ხალხური სიმღერები. შეუდარებელი იყო—ბავშთა ბალეტი მხურვალე მადლობის ღირსია. იტალიური სიმღერები—მხოლოდ რეკლამა გამოდგა...

**გრ. შაგგულიძე.**

## [illegible]

— სამშაბათს და ოთხშაბათს (9 და 10 ოქტომბერი) რუსთაველის თეატრში შესდგება ორი ლექცია საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებული ა. ვ. ბობრიშჩევ-პუშკინისა და ი. მ. ვასილიევსკისა (Не-буква) შემდეგ თემაზედ:

**„ევროპა დღეს“** (ჩვენები საზღვარ გარეთ) და **„დამხობილი კერპი ნიკოლოზ II და მომავლის რელიგია“.**

ტფილისიდან ლექტორები მიემგზავრებიან ბათომში, იქედან ბაქოში შემდეგ ასტრახანში და ვოლგის დიდ ქალაქებში. დეკემბერში სამი ლექცია უნდა წაიკითხონ პეტროგრადში. ყოველი ლექციის შემდეგ იმართება დისპუტი და საუბარი.

დასაწყისი 9 საათზედ.

## მთავრობის მოქმედებანი —და განკარგულებანი—

**დადგენილება № 110**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსებული პენიტენციალური საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ყველა საპატიმრო ადგილის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემის შესახებ 1923 წ. მარტის 10-ს თარიღით და 35 №-ით გამოცემული დადგენილების მე-4 მუხლის განსავითარებლად დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან არსებული პენიტენციალური საბჭოსი.

2. 1923 წლის მარტის 10 თარიღისა და 35 ნომრის დადგენილების მე-4 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„დასჯის პოლიტიკის საერთო პრინციპიალური საკითხების შესამუშავებლად, პენიტენციალურ და დანაშაულობასთან საბრძოლველ ღონისძიებათა განსახორციელებლად და ყველა იმ მოსაზრების გასახილველად, რომელიც შეეხება პატიმართა ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და თავისუფლების აღკვეთის ადგილების ახალ საფუძველზე გარდაქმნას, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამმართველოსთან მოეწყოს პენიტენციალური საბჭო“.

3. მე-4 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

**შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1923 წ. ოქტომბრის „6“

ტფილისი-სასახლე.

**დებულება**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამართველოსთან არსებული პენიტენციალური საბჭოსი.

1. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საპატიმრო ადგილების სამართველოსთან არსდება პენიტენციალური საბჭო, რომელიც შესდგება შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან: შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა, განათლების სახალხო კომისარიატისა, საპროკურორო ზედამხედველობისა და სხვა პირებისაგან, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოწვევით. პენიტენციალური საბჭოს თავმჯდომარეს დანიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

2. საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია მოწვეულ იქნენ, თავმჯდომარის შეხედულებისამებრ, სათათბიროდ ან და ახსნა განმარტებისათვის, გარეშე პირნიც, რომელთაც შეუძლიანთ საქმის თვისებისა და ხასიათისდაგვარად, სასარგებლო ცნობები მიაწოდონ საბჭოს.

3. პენიტენციალური საბჭოს საქმის წარმოება დაევალება საპატიმრო ადგილების სამართველოს ერთ-ერთ თანამშრომელს საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნით.

4. პენიტენციალურ საბჭოს არა აქვს აღმასრულებელი ხელისუფლება.

5. პენიტენციალურ საბჭოს მოიწვევს თავმჯდომარე საჭიროებისა და საქმეების დაგროვების მიხედვით.

6. საბჭოს მიერ გამოტანილი დასკვნა იწერება ჟურნალში, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და წევრები. ჟურნალი იგზავნება საპატიმრო ადგილების სამართველოში. მას უნდა დაერთოს იმ წევრთა ცალკე აზრიც, რომელნიც არ დაეთანხმებიან საერთო დასკვნებს.

7. პენიტენციალური საბჭოს ჟურნალი საპატიმრო ადგილების სამართველოს უფროსის მიერ უნდა წარედგინოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს გადასაწყვეტად.

8. პენიტენციალურ საბჭოსი განხილული თვითეული საქმის შემდგომ წარმართვის შესახებ საპატიმრო ადგილების სამართველოს უფროსი აცნობებს საბჭოს უახლოეს სხდომაზედ.

9. როცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი წარმოადგენს უმაღლეს ორგანოში გადასაწყვეტად იმ საქმეს, რომელიც წინასწარ განხილულ იყო პენიტენციალურ საბჭოში, საბჭოს მოსაზრება და დასკვნა აღნიშნულ უნდა იქნეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ წარდგენილ წერილობითი განმარტებაში.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

**შ. ელიავა.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1923 წ. ოქტომბრის „6“

ტფილისი-სასახლე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის
სამართველო ამით აცხადებს
შეჯიბრებას
გარდაკვეთილის ფასით ხუთასი ელექტრონის ლამპების გაყვანილობისათვის საჭირო მასალებისა: **სადენი** (პროვოდნიკი), **ზონარი** (შნური), **ფაიფურის რგოლი** (როლიკები) **ვაზნა** (პატრონა), **ამომრთ** (ვიკლუჩატელი), **მცველი** (პრედოხრანიტელი), **ნათური** (ლამპა), **ლულა** (ტრუბკა ბერგმანის) და სხვა.
საჭირო მასალების დაწვრილებითი სიის მიღება შეიძლება ყველ დღე სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში.
განცხადება ყველა მასალების ან ნაწილის მიწოდების შესახებ აღნიშვნით თითოეულის ფასებისა უნდა იქნას შემოტანილი დახურულ კონვერტში არა უგვიანეს 15 ამა ოქტომბრის 12 საათისა სამუშაოთა სამმართველოში (ლადო დუმბაძის ქ. № 3.)
უპირატესობა მიეცემათ იმ პირთ, ვინც მასალებს მოგვაწოდებს ტფილისის საწყობებიდან.
სამუშაოთა უფროსის თანაშემწე გ. კიკნაძე.
1—1

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 707 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, კონსტანტინეს ქუჩ. № 4.